



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 44

03/07/2018

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სახლდაზიანებულ პირთა დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №46 26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სახლდაზიანებულ პირთა დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №46/26 განკარგულებაში შეტანილი იქნას ცვლილება და განკარგულების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი - ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

მუხლი 2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 1 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო